სახალხო გაზეთი

№ 718 სამშაბათი, 9 ოქტომბერი 1912 წ. № 718

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია **„გრდემლის“ მისაღებად** უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით **მიიღება ხელის მოწერა** 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზ**ეთის** გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი **წარმოდგენა № 8.**

ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს, 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება

სიზმარი კოშკში, დრამ. ეტიუდი 1 სურ. კონსტან-ანდრონისა.

2) **პირველად ქართულ სცენაზე გერმან ბარის ახალი პიესა**

კონცერტი, მხიარული კომედია 3 მოქ., თარგმ. ვ. გუნიასი.

მონაწ. ღებულობენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ლოლუა, მარგარიტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ბერიშვილი, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

თეატრის დირექცია დაბეჯითებითა სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

ანონსი: კვირას, 14 ოქტ. წარმ. იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწ. ,,**კინი**''.

1541. რეჟისორი **ვლ. ალექსი მესხიშვილი.** ◆ ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მალალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქალთა (ქირურ-გიული).	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
სამშობია-რო ქალ. სნეულე-ბანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ხულბაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავად-მყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ტრემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვა-ლის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და **წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

◆ გამოსულია და იყიდება ◆

ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. 1½ ს.

ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606''-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—3½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე. შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდ. ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

შ. ა მიქელაძე. შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა ,,606''-ით 1018

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

გ. გ. მგებრიშვილი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 1497

კბილის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს ,,კორონკები'' და ,,ვსტავკები'' (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლღას ქუჩა № 20, ბინა—5. 1504

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ს. ი. გძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. ღლისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი ქალი ლ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5-6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ივ. გომართელი **დაბრუნდა** და განაახლა ავათმყოფების მიღება. ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. **არ იღებს.** მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ფაჩაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. 0.49

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ძარღვები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. № 6.

გამოურკვევლობის და ორჭოფობის გარშემო

აკი ვამბობდი, ყველაფერში თურმე „სახალხო გაზეთია“ დამნაშავე: პოზიციაც გამოურკვეველი აქვს, ორჭოფულად აზროვნებს, შოვინიზმით არის გამსჭვალული, თავისი კანდიდატი არ დაასახელა ტფილისის გუბერნიიდამ და მით თურმე სხვა ჯგუფებს შეუშალა ხელი, ვერ დაასახელებინა საკუთარი კანდიდატი, და სხვა და სხვა. ამ ხასიათის ბრალდებას ამოიკითხავთ „თემში“ და „ზაკავკაზსკაია რეჩში“. საკვირველი საქმეა, „თემსა“ და „ზაკ. რეჩ“-ს შორის თითქოს იდეიური სოლიდარობა არ არსებობს, დღეს კი შეთანხმებულნი არიან „სახალხო გაზეთის“ გაკიცხვაში. ბევრი საერთო ხასიათის ბრალდებაც წამოუყენებიათ.

ორივე გაზეთს დიდი ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს ამ არჩევნების განმავლობაში და ხშირად, ძლიერ ხშირად, მებადებოდა სურვილი ხმის ამოღებისა და პროტესტის თქმისა. ორივე გაზეთს შეუფერებელი პოზიცია ეჭირა. დაიწყო თუ არა საარჩევნო აგიტაცია პრესაში, იმ დღიდანვე აშკარა გახდა, რომ „ზაკ. რეჩი“-ს სიმპატიები იმ პოლიტიკურ ოპორტუნიზმისაკენ იხრებოდა, რომლის გამომხატველი და წარმომადგენელი იყო თ. ვლ. მიქელაძე. იმგვარი დეპეშები იბეჭდებოდა ამ გაზეთში ქუთაისიდან გამოგზავნილი, რომ ყველასათვის ცხადი იყო რედაქციის სურვილი თ. ვლ. მიქელაძის გამარჯვება სხვა მებრძოლ პარტიებზე. მაგრამ ამასთან გაზეთის სახელმძღვანელო წერილებიდამ არა სჩანდა გარკვეულად, რომ სწორედ ვლ. მიქელაძის კანდიდატურა მიაჩნია მას სასურველ კანდიდატურად, ამ წერილებიდამ სჩანდა მხოლოდ ის, რომ გაზეთი არც ერთ ჩვენში არსებულ მემარცხენე ჯგუფს არ თანაუგრძნობდა. ამგვარად მკითხველს რჩებოდა ხელში თ. მიქელაძის კანდიდატურის გასამაგრებლად და დასაცავად შეთხუზული დეპეშები, სიცრუით სავსენი. (გაიხსენეთ თუნდ ის, თუ როგორ შემოკრბა ამ კანდიდატურის გარეშემო იმერეთის საუკეთესო და მოწინავე ელემენტები. გაიხსენეთ ის უცნაური დეპეშა, სადაც კიტა აბაშიძის მომხრეთა შესახებ ნათქვამი იყო, „выбиты изъ строя“ და სხვა. და გაშავებულად კი აღმოჩნდა ყველა ეს-დეკები და დიდი უმრავლესობა მიქელაძის ჯგუფისა, ექვსის გარდა. ნეტავ ვინ გაამჟღავნა ესენი?) და გასაკიცხი წერილები მიმართული მემარცხენეების წინააღმდეგ.

ამა თუ იმ პრინციპის აღიარებისათვის ჩვენ არასოდეს არ გავკიცხავთ ბეჭდვითი ორგანოს. იქადაგოს თუნდ პოლიტიკური ოპორტუნიზმი, პრაქტიკული საქმიანობის უპირატესობა და სხვა ამგვარი. მხოლოდ სთქვას თავისი აზრი გაბედულად, დაუფარავად. ეჭვებს ნუ უბადავს მკითხველს მის გულწრფელობაში. „ზაკ. რეჩი“ კი სხვანაირად იქცევა; უჩუმრად ხელს უწყობდა ოპორტუნიზმის დამცველ კანდიდატს და აშკარად კი ორმოს უთხრიდა მის მოწინააღმდეგებს, განსაკუთრებით ეროვნულ იდეის მომხრეთ. დიაღ, ამ ორ მემარცხენეთა შორის სწორედ ეს უკანასკნელი ჰქონდა ამოჩემებული ამ გაზეთს. იმგვარ ცნობებს ჰბეჭდავდა, თითქოს იმერეთში ბრძოლა ეს-დეკებსა და პროგრესისტებს შორის არსებობდა. ხანდისხან წაიჩხირებოდნენ კიტა აბაშიძის მომხრენიც, ხოლო ყველგან სამარცხვინოდ დამარცხებულნი, სოროებში ძვრებოდნენ. ნამდვილად კი დღესაც, მიუხედავად კიტა აბაშიძის დამარცხებისა (რომელიც დამარცხებად არ ჩაითვლება, რადგან იგი უკვე იყო არჩეული კანონიერად) მის მომხრეთ მეტი კენჭი უჭირავთ ხელში, ვიდრე ძლევა-მოსილ ვ. გეგეჭკორის ჯგუფს.

ასე რომ არავითარი ეჭვი აღარ არის იმაში, რომ „ზაკ რეჩ“-ი უწყობდა ხელს იმგვარ ჯგუფებს, რომელნიც ძირს ქართულ ეროვნულ საქმეს უთხრიდნენ. „ზაკ. რეჩ“-ი თითქოს ვერც კი მიხვდა, და ვერც კი გაიგო, რომ დღევანდელ საარჩევნო მთავარ დედა-აზრად ეროვნული საკითხი ჩაითვლება, რომ იმერეთშიაც, ჩვენშიაც ამ ნიადაგზე ჰქონდათ უმთავრეს ჯგუფთა შეტაკება, და რომ მესამე ჯგუფი, ი. მიქელაძის მეთაურობით გამოსული, თითქმის რომ ჩასათვალავი არ არის ატეხილ ბრძოლის საქმეში. დაუგდეთ ყური ბ. Онъ же-ს და თქვენთვის დღესავით ნათელი გახდება, რომ „ზაკ. რეჩ“-ის პუბლიცისტებს სრულიად არ ესმით, რა ხდება ამ ჟამად ჩვენს ქვეყანაში. კიტა აბაშიძის შესახებ იგი ამბობს: „ჩვენ გადაჭრით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თ. კ. აბაშიძე, რომელსაც ყველანი ვიცნობთ, არ დამარცხებულა, დამარცხდა მხოლოდ ის, რაც პარიზიდან გამოგვიგზავნეს და რასაც არჩ. ჯორჯაძის ტერმინით „დროშა“ ჰქვიან (№ 228). ჩვენ კი გვგონია, რომ საქმე სხვანაირად არის. კიტა აბაშიძე დამარცხდა, მაგრამ „დროშა“ არ დამარცხებულა, რადგან, ვიმეორებ, დღესაც ამ „დროშას“ ხმის უპირატესობა აქვს. ეს ერთი. ბ. Онъ же განაგრძობს: „ყოველი საზოგადო მოღვაწე მტკიცე მაშინ არის, როდესაც საზოგადო სარბიელზე იმ „დროშით“ კი არ გამოდის, რომელსაც ხელში აჩრიან, არამედ ამის მოქმედების და აზრთა განწყობილებასთან შეთანხმებულ დროშით. ვიცნობთ რა პატივცემულ თ. კ. აბაშიძეს, ჩვენ გვგონია, რომ უბრალო ნაციონალ-დემოკრატიული პლატფორმა უფრო შეეფერება მას, ვიდრე სხვა რაიმე თუნდ „სახალხოელების“ დროშათ.“ აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა. თ. კიტა აბაშიძე რომ უბრალო ნაციონალ-დემოკრატი ყოფილიყო, ალბად „ზაკ. რეჩ“-ის ტიპისა, უსათუოდ გაიმარჯვებდა, რადგან დამარცხდა „დროშა“ და არა კიტა აბაშიძე. „ზაკ. რეჩ“-ის პოზიცია კი რომ სჭეროდა, უსათუოდ გაიმარჯვებდა. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, საქმე ასეა. პოლიტიკური ოპორტუნიზმის მომხრეებთან რომ შეკავშირებულიყო ბ. კიტა და მისი ამხანაგები, გამარჯვებაც მათი იქნებოდაო. აი საიდან უვლის „ზაკ. რეჩი“ ეროვნულ თვითმართველობის პრინციპს და საიდ უთხრის მას ორმოს.

ჩვენ შევაჩერეთ ამ მოვლენაზე მკითხველი, რადგან იგი ფრიად დამახასიათებელია. იქნებ გაზეთ „თემსაც“ გამოადგეს ამ მოვლენის ანალიზი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ „თემისთვისაც“ არ არის გარკვეული, თუ რა არის გამოცხადებული ლოზუნგად დღევანდელ მოქმედ პარტიათა მიერ. „თემის“ პოზიცია ბუნდოვანია. არა ერთხელ გვსმენია „თემისაგან“, რომ იგია პოლიტიკური მიმართულებისაა, წმინდა კულტურულ საქმეებს ემსახურება და პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლაში არ ერევა. ფრიად საპატიო ნიადაგია, თუმცა არ მესმის, დღევანდელ ისტორიულ პირობებში, რანაირად შეიძლება ეროვნულ-კულტურულ ინტერესების დაცვა,

თუ პოლიტიკურ ცხოვრებას ზურგი უბრუნე. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მოვითხოვთ მხოლოდ ის, რომ გაზეთი აპოლიტიკურ ნიადაგზე იდგეს, ხელს ნუღარ უწყობს თავის ცნობებით და ფაქტების გაშუქებით ერთ-ერთ პოლიტიკურ ჯგუფის საქმეს, ისიც იმისთანას, რომელიც თავის ცენტრალისტურის მიმართულებით აპოლიტიკურ მიმართულებას ძლიერ დაშორებულია. „თემი“ კი სწორედ ასე იქცეოდა არჩევნების დროს. ვგონებ არ დამჭირდება იმისი დამტკიცება, რომ „თემის“ სიმპატია ცენტრალისტ-დემოკრატებისაკენ იყო მიმართული. ვგონებ არც იმის დამტკიცება დამჭირდება, რომ მათს მოწინაალმდეგებს, რომელთანაც თითქოს მეტი კავშირი უნდა ჰქონოდა, სახელს და საქმეს უფუჭებდა. არც ერთი სიტყვა არა სთქვა კიტა აბაშიძის კანდიდატურის სასარგებლოდ, როდესაც კარგად იცოდა, რომ ამ კანდიდატურის გამარჯვება ჰნიშნავდა ეროვნულ პრინციპის გამარჯვებას. ტფილისის არჩევნებში ხომ სრულიად შეუწყნარებელი გაუგებრობა და სიბეცე გამოიჩინა.

„თემის“ უკანასკნელ ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენს საზოგადოებაში კარგა ხანია ჰმოქმედობენ ჭეშმარიტ-დემოკრატების აღმსარებელი ორი პოლიტიკური ჯგუფი. ერთი არის ადგილობრივი კანონ-მდებლობითი თვით-მართველობის მომხრე, მეორე—ამის უარმყოფელი. ჩვენ, თუმცა, პირველ ჯგუფში არ ვყოფილვართ, მაგრამ ამ ჯგუფის მსოფლხედველობას ვუახლოვდებოდით ყოველთვის. მაშასადამე ამ ჯგუფის ბედ-იღბალი მუდამ ჩვენთვის საინტერესო და საგულისხმიერო იყო“. თუ ასეა საქმე, რატომ არ გაიძერით და სიტყვა არა სთქვით თქვენი „მეგობრების“ სასარგებლოდ? „აპოლიტიკოსობით“ ხომ ვერ იმართლებთ თავს, რადგან ამ აპოლიტიკოსობამ არ დაგიშალათ და ნამდვილი აგიტაცია გაგაწევინათ თქვენი მოპირდაპირეთა სასარგებლოდ. ასე არ არის, განა? თუ ეროვნული ჯგუფის ბედიღბალი ყოველთვის გაინტერესებდათ და საგულვებელი იყო თქვენთვის, რატომ უმტყუნეთ მას სწორედ მაშინ, როდესაც ასე საჭირო იყო დახმარება თქვენ მიერ მოწონებულ პრინციპების გამარჯვებისათვის? „თემს“ აქვს პასუხი: „ჩვენი ერთად-ერთი წადილია, ამბობს იგი, ამ დუხჭირ დროს გასაჭირში მყოფი ჭეშმარიტი დემოკრატია კი არ დავყოთ, არამედ შევაერთოთ“. მაგრამ თუ ეს დემოკრატია უკვე იმდენად დაყოფილია, რომ ამ დემოკრატიის ერთი ნაწილი უცხო ტომის ნაციონალისტურ ორგანიზაციასაც კი ეკავშირება თავის ტომის დემოკრატიის დასამარცხებლად, ამ შემთხვევაში უნიადაგო არ გამოდის განა „თემის“ სურვილი? სოლიდარობის წინააღმდეგ არც ჩვენ ვიყავით, მაგრამ გამოგვიცხადეს, თქვენდა დასათრგუნავად „დაშნაკელებს“ შეუერთდითო. როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში „თემი“. მის მეგობარ ჯგუფს განადგურებას უქადიან, დეცენტრალისტურ მიმართულებას ასამარებენ და ამ დროსაც კი ამკობს ქებით იგი ეს-დეკებს და „სახალხო გაზეთს“ შოვინიზმს უკიჟინებს?.. ამაზე მეტი გაუგებრობა შეიძლება?

სომეხ-ქართველთა ურთიერთობა დიდი ხანია არა სასურველ მიმართულებას იღებს. მაგრამ როგორადაც უნდა იყოს საქმე, გადაჭრით უნდა ვსთქვათ შემდეგი. საქართველოში მცხოვრებ სომხებს სრული უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი ნაციონალური ინტერესები და იზრუნონ თავის ერის კეთილდღეობისთვის. აქ ვერავინ წამოედავებათ. მაგრამ როდესაც მოურიდებლად გვიცხადებენ, რომ უარვყოფთ საქართველოს ეროვნულ იდეალს, ვებრძვით და ვებრძოლებით მას, რადგან ამ პრინციპის განხორციელება სომხის ბურჟუაზიისთვის არასასურველი და მავნებელი იქნებაო, გვაქვს უფლება ხმა ამოვიღოთ და ვსთქვათ: ერთა ურთიერთობაში არის ერთგვარი ზნეობრივი საზღვარი, რომელსაც დაუზარალებლად და დაუსჯელად ვერვინ გადააბიჯებს!

„დაშნაკელები“, რომელნიც ამ რამოდენიმე წლის წინად სულ სხვანაირ დროშის ქვეშ მოქმედებდნენ და რომელთაც ეს—დეკებთან ულმობელი შეჯახება ჰქონდათ ხოლმე ყველგან, სადაც კი შეიყრებოდნენ, ეხლა, ქართულ ეროვნულ საქმის ზრდა რომ იგრძნეს, ხელი აიღეს პრინციპებზე და გულზე მიიკრეს „წმინდა წყლის“ დემოკრატები. ამ დემოკრატებსაც მეტი არაფერი უნდოდათ. გადაეხვივნენ თავიანთ ძველ მტრებს, ნაციონალისტებს და საერთო იერიშით მივიდნენ ქართულ ეროვნულ საქმის და ეროვნულ კულტურის წინააღმდეგ. ვამბობ, ეროვნულ კულტურის წინააღმდეგ, რადგან თვითმმართველობის პრინციპის დათრგუნვით დაითრგუნება ეს კულტურა, იგი ვერ იხარებს და ვერ აყვავდება. და ყველა ამის მოწამე, გაზეთი „თემი“ „სახალხოელების“ შოვინიზმზე და ეს-დეკების დევ-გმირობაზე ლა ლაპარაკობს. ეს არის ცნობიერი განმარტება ცხოვრებისა? ეს არის პირუთვნელობა, პირდაპირობა და გულწრფელობა? არა მჯერა, არა და არა.

რაც შეეხება ლ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურის საკითხს, ამის გამო სხვა დროს.

არჩილ ჯორჯაძე.

ქართული პრესა

გაზეთ „თემს“ ეხლაც, როგორც ყოველთვის, არ მოსწონს ჩვენი პოზიცია, თუმცა კვლავ გვიმეორებს, იდეიურად თქვენთან უფრო ახლო ვარ, ვიდრე სოციალ-დემოკრატებთანაო.

„გვითხრას გულ-ახდილად ბ. არჩილ ჯორჯაძემ,—სწერს „თემი“, —მოსწონს მას საარჩევნო მოწოდება და წერილი „სამარცხვინო გამარჯვება“, რომელიც დასტამბა „სახალხო გაზეთმა“ ამ დღეებში და რომელშიაც გატარებულია პირდაპირი შოვინისტური აზრი მთელის სომხის ერის წინააღმდეგ? გვითხრას პირდაპირ, განა ეს შეეფერება ჭეშმარიტ დემოკრატობას?“.

ამ ამონაწერიდან ნათლადა სჩანს, როგორი დუხჭირი პოლიტიკური აზროვნების პატრონი ყოფილა „თემი“, როგორ დაუჩრდილავს მასში სიტყვების გარეგან ფორმას შინაარსი. დაგვიმტკიცოს გაზეთმა „თემმა“, რომ დემოკრატიული პრინციპი მოითხოვს და არა ქართველთა განიავების ინტერესი სოციალ-დემოკრატებისა და სომხის ნაციონალისტურ ჯგუფების კავშირს, დაგვიმტკიცოს „თემმა“, რომ არსებობს რაიმე ლოღიკური საფუძველი ამ შეთანხმებისთვის, გარდა ქართველებისადმი სიძულვილისა, და მაშინ დავეთანხმებით, რომ ჩვენ ცუდად მოვიქეცით. რა ამოქმედებს სომხებს, როდესაც მხარს უჭერს სოციალ-დემოკრატიას? რანაირის საბუთებით გინდათ ახსნათ ის უცნაური მოვლენა, რომ ტფილისი, ბუდე სომხობისა, ბუდე სომხის ბურჟუაზიისა, ირჩევს სოციალ-დემოკრატებს? ეს უცნაური მოვლენა უცნაურად არ მოგეჩვენებათ მხოლოდ მაშინ, თუ შეიგნებთ, რომ ამას სომხების ინტერესი მოითხოვს. „თემი“ გვეკითხება, განა ეს შეეფერება ჭეშმარიტ დემოკრატობასაო? მერე, განა ის კი შეეფერება, რომ სოციალ დემოკრატიამ ქართველ დემოკრატიულ ჯგუფს უბრუნა ზურგი და საქმე დაიჭირა ისეთს ჯგუფთან, რომელსაც გუშინ ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ ჯგუფად ნათლავდა? რად მოიქცნენ ასე? მხოლოდ იმიტომ, რომ იციან მათი სულიერი განწყობილება, იციან რომროგორც „დაშნაკცაკანები“, ისე სხვა ჯგუფები სომხებისა უპირატესობას მისცემენ ეროვნულ იდეალების უარისმყოფელ ჯგუფებს. ამისი თქმა და გამომჟღავნება შოვინიზმად მხოლოდ იმას მოეჩვენება, რომელსაც არაფერი გაეგება არც შოვინიზმისა და არც დემოკრატობისა. ჩვენ „თემი“-ც სწორედ ამნაირს ორგანოდ მიგვაჩნია. ამის შემდეგ „თემი“ სწერს:

„გვითხრას პირდაპირ, ადასტურებს, თუ არა ბ. არჩილ ჯორჯაძე „სახალხო გაზეთი“-ს ქცევას ბ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის კანდიდატურის შესახებ? აი სწორედ ეს ბ-ნ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, პირველად „სახალხო გაზეთი-“ს მიერ დაწუნებული, ახლა კი ხოტბა-შესხმული, არ იკადრებდა ისეთს ფანდს, რომელიც იხმარა ჭეშმარიტ დემოკრატების დროშის მატარებელმა „სახალხო გაზეთმა“ სომხის ერის და სოციალ დემოკრატების წინააღმდეგ. ჩვენ გვწამს ბ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის პიროვნება, მისი განვითარება, მისი ნიჭი, მისი ორატორული ღირსება, მაგრამ იგი მაინც არ შეიქმნება ჩვენი კანდიდატი და გვგონია არც „სახალხო გაზეთი“-ს კანდიდატი უნდა ყოფილიყო“!

მაშ ვინ უნდა ყოფილიყო? კარლო ჩხეიძე? მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ჩვენი თანამოაზრენი ამომრჩეველთა შორის უმცირესობას შეადგენენ, თავის-თავად დაიბადა საკითხი: ვის უნდა მისცენ მათ ხმა კარლო ჩხეიძეს, თუ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს. ეს უკანასკნელი ჩვენი კანდიდატი არ არის, მაგრამ კარლო ჩხეიძეც ხომ ჩვენი კანდიდატი არ შეიძლება იყოს? მაშ, რომელს მათგანს უნდა მივცეთ ხმა?

თავიანთი მოქმედებით სოციალ-დემოკრატებმა დაამტკიცეს, რომ გამარჯვებისთვის არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, მზად არიან სომხის ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ ჯგუფების დახმარებითაც კი ისარგებლონ მაშინ, როდესაც ქართულ დემოკრატიულ ჯგუფებთან შეთანხმება უარჰყვეს. ასეთი ტაქტიკა იქნება ძალიან სასარგებლო იყოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისთვის, მაგრამ ქართულ ეროვნულ იდეალების თვალსაზრისით იგი ღალატს უდრის. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან ქართულ ეროვნულ ინტერესების მოღალატე ჯგუფს დახმარების ხელი გაუწოდოთ. თავიანთი მოქმედებით სოციალ-დემოკრატებმა დაამტკიცეს, რომ იგი ისეთივე ბოროტებაა, რანაირიც სხვა ჩვენს ეროვნულ იდეალების წინააღმდეგ მომართული ძალა. ეს იქნება კვლავ საიდუმლოებას შეადგენდეს „თემი“-სთვის, მაგრამ ჩვენთვის უკვე გამორკვეულია, და ამიტომ ისეც მოვიქცევით, როგორც ჩვენი სინიდისი და ქართველი ერის ინტერესი გვიკარნახებს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევა** დანიშნულია მომავალ დეკემბრისთვის.

◆ **დახმარება.** სამუსიკო მოღვაწეთა ტფ. საზოგადოების სასარგებლოდ ქალაქის გამგეობამ 200 მან. გადასდო.

◆ **საუნივერსიტეტო მიწის გაყიდვა.** როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გაჰყიდოს საუნივერსიტეტო მიწის მახლობლად მდებარე საქალაქო მიწა, (ნავთლუღში) საჟენი 4 მანეთად და აღებული ფული საუნივერსიტეტო თანხას მიუმატოს. მიწების ყიდვის მსურველნი უკვე გამოჩნდნენ. მაგალითად, ვაჭართა მამასახლისმა ა. ნ. მილოვმა ქალაქის გამგეობას წერილობით განუცხადა სურვილი 10,000 ოთხკ. საჟენის შეძენისა. აგრეთვე განაცხადა მიწის ყიდვის სურვილი ერთმა კაპიტალისტმა, რომელსაც სურს, შემდეგში მიწა ნაჭრებად დაჰყოს და ისე გაჰყიდოს.

◆ **ვერის საქალაქო პარკის გასაფართოვებლად** ქალაქის თვითმმართველობა ქ-ნ ტურკოვსკის ადგილს იძენს.

◆ **მიწის ძვრა და გოგირდის წყლები.** უკანასკნელ მიწის ძვრის შემდეგ ტფილისის აბანოებში, საცა ცხელი გოგირდის წყალი გადმოდის ზოგიერთი ცვლილება მომხდარა. როგორც ამბობენ, წყალმა ზოგან იმატა, ზოგან კი იკლო. ქალაქის საბჭოს საბალნეოლოგიო კომისიას აზრად აქვს, ეს ხმები შეამოწმოს და ამასთანავე გამოიკვლიოს, წყალის ტემპერატურა შეიცვალა თუ არა.

◆ **ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექცია** აცხადებს, რომ ოქტომბრის 15-დან იწყებს მეცადინეობას ქართულ საღამოს სკოლებში: 1. ვერაზე, ოლგას ქუჩა № 58 და 2. ვოგზალზე—ელისაბედის ქუჩა № 158. მიიღებიან როგორც კაცები ისე ქალებიც, წლოვანებით არა ნაკლები 15 წლისა. აღნიშნულ სკოლებში ჩაწერვა შეიძლება ყოველ-დღე საღამოობით 5—7 საათამდე.

◆ როგორც გადმოგვცეს, **ქუთაისის ქალაქის ამომრჩეველთა არჩევანი განსაჩივრებულ იქმნება,** რადგან ე. გეგეჭკორს, ქ. ქუთაისში ცენზი არა ჰქონია.

◆ **ტფ. გუბერნატორმა ტფილისის** მასწავლებელ ქალთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გამგეობას ნება დართო შეაგროვოს შემოწირულება, ტფილისში დასნეულებულ მასწავლებელთა თავშესაფარის ასაგებად.

◆ **არჩევნების გარშემო.** მეოთხე სათათბიროს არჩევნების საქმეთა საგუბერნიო კომისია დღეს განიხილავს საერთო კურიის არჩევნების საქმეს.

◆ ჩვენი პოეტი ქალი კნ. ნინო ორბელიანისა ამ ჟამად მძიმე ავადმყოფია. მას, როგორც გადმოგვცეს, ნივთიერ ხელმოკლეობა ნებას არ აძლევს, ექიმი მიიწვიოს. იგი ცხოვრობს ტფილისში (სასტუმრო ბრისტოლი № 4).

◆ ქალაქის მუზეუმისა და საზოგადო ბიბლიოთეკის ახალ შენობის საძირკვლის ჩაყრა მომავალი წლის პირველ რიცხვებში უნდა მოხდეს. შენობა უნდა დასრულდეს ორის წლის განმავლობაში. შენობის ინჟენერი-ხუროთმოძღვარი გ. ნ. ნეპრინცევი ხელმძღვანელობს.

◆ ტფილისის მეორე ფრინველთა მეორე გამოფენაში მონაწილეობის მიღება 10 ოქტომბერს თავდება. გამოფენა ტფ. კრუჟოკის საზაფხულო შენობაში მოთავსდება.

◆ **ყალბი ხუთას მანათიანები.** ტფილისის ვაჭართა მამასახლისმა ა. ნ. მილოვმა ყველა ტფ. საკრედიტო დაწესებულებებს და უმთავრეს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს აცნობა, რომ ამ წლის 18 სექტემბერს ქალაქ უფაში გამოვიდა **ხუთას მანეთიანები,** რომელიც სახელმწიფო ბანკმა ყალბად სცნო. ჯერ ჯერობით იციან ორი ასეთი ქაღალდის ნომრები: 1898 წლისა, სერია „А. С., № 066915“, „А. II. № 075603“ და „Л. П. № 075624“.

◆ ტფ. ქალაქის საექიმო ლაბორატორიაში მიიტანეს ერბოსა და კარაქის ნიმუშები **გ. შ. ბაღდასაროვის** დუქნიდან. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ სანოვაგე გაფუჭებულია და სახმარებლად არ ვარგა. მას ოქმი შეუდგინეს.

◆ **წვრილ კრედიტის** ინსპექტორმა დ. ყ. ჩხეიძემ, სოფ. წალვერში გახსნა წვრილ კრედიტის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ამხანაგობამ ძირითად თანხად 100 თუმანი უკვე მიიღო ამ დღეებში, აგრეთვე მოკლე-ვადიან სესხე 100 თუმანი. ბ-ნ დ. ყ. ჩხეიძეს შესაძლებლად უცვნია წვრილ კრედიტის ამხანაგობანი დაარსდეს ახალციხის მაზრაში: ახალქალაქში, ყარძახში, კონდურში, ეშტაში, სათხაში, გორელოეში, ულიპამში, ბრელეთში და პლასტანში.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ხვალ, 10 ოქტომბერს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ალექსანდრეს ბაღში) დანიშნულია **ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება.**

◆ კვირას, 7 ოქტომბერს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდა გაგრძელება ღარიბ-მოსწავლეთა დამხმარე ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების კრებისა. კრებამ აირჩია ორი წევრი კომიტეტისა: ი. გ. რატიშვილი და მ. კ. ყიფიანი.

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში ქალაქის საბჭოს **სატრამვაიო კომისიის კრება მოხდება.** კრება განიხილავს ფუნიკულერის ქვედა სადგურამდე ახალი სატრამვაიო ლიანდაგის ხელშეკრულების გეგმას.

სასამართლო

◆ **სურამელთა საქმე.** გუშინ ტფ. სამოსამართლო პალატამ სამსონ ბებიაშვილისა, ვანო მაისურაძისა და ზაქრო მჭედლიძის საქმე გაარჩია. პირველ ორს ჩაფრის ალექსანდრე ორჯონიკიძის მოკვლა ბრალდებოდათ ხოლო მესამეს—პირველთა წაქეზება. სასამართლომ ბებიაშვილი და მაისურაძე დამნაშავედ იცნო და ათ-ათის წლის კატორღა მიუსაჯა, ხოლო მჭედლიძე სრულიად გაამართლა.

სასწავლებლებში.

◆ ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების საბჭომ ქიმიის კათედრაზე ამოირჩია ოდესის დამსახურებული პროფესორი ქიმიის დოქტორი **პ. გ. მელიქიშვილი,** რომელმაც თანხმობა გამოაცხადა.

◆ მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლის სამზრუნველო საბჭომ დაადგინა, მადლობა გადაუხადოს ტფილისის საკრედიტოს საბჭოს რომელმაც სკოლის ღარიბებს მოწაფეთათვის 175 მანეთი შესწირა.

◆ ი. ვ. პალატნიკოვმა უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ნება დართონ გახსნას ტფილისში ერთ-კლასიანი სავაჭრო სკოლა. სკოლა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დაექვემდებარება და მოსწავლეებს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებში სამსახურისათვის მოამზადებს.

სომეხთა ცხოვრება

◆ ქ. ეჩმიაძინში განზრახულია სომხურ ანბანის 1,500 წლის შესრულების დღესასწაული. ამის გამო, 11 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ბირჟის დარბაზში მოხდება კრება ტფ. სომხის ინტელიგენტებისა, რომელზედაც შეიმუშავებენ დღესასწაულში მონაწილეობის მიღებ გეგმას.

ქ უ თ ა ი ს ი

◆ საგუბერნიო სატუსაღოში კატორღა მისჯილ **ევგენი დვალის** სულიერი ავათმყოფობა, როგორც გადმოგვცეს, თან და თან მატულობს.

◆ სვირის ნამამასახლისარი **ს. კაპანაძე** საგუბერნიო ციხიდან ათასი მანეთის საწინდრით გაანთავისუფლეს.

◆ როგორც ხმა დადის, საგუბერნიო ციხეში შემოღებულ იქნება ტუსაღებისთვის სავალდებულო დილა-საღამოს ლოცვა.

◆ ტფ. სამოსამართლო პალატის მიერ სამუდამოდ გადასახლებულნი: კოწია ნარაკიძე და მიხეილ კაკულია გაუნთავისუფლებიათ ირკუტსკის ციხიდან იქვე მახლობელ სოფელში საცხოვრებლად. მათ ბრალდებოდათ ზუგდიდის რესპუბლიკაში მონაწილეობის მიღება.

◆ ქსენოფონტე მიქატაძეს, რომელსაც ტფ. სამოსამართლო პალატამ სამუდამო გადასახლება მიუსაჯა ლეჩხუმის რესპუბლიკაში მონაწილეობისთვის და რომელიც ენისეის გუბერნიის მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდა ცოლშვილით, ნება მიეცა ქ. კანსაში იცხოვროს.

◆ შარშან საგუბერნიო ციხის ზედამხედველმა ჩერნენკომ რევოლვერით დასჭრა ტუსაღი ბჟალავა. ამის გამო ის სამართალში მისცეს. ოლქის სასამართლომ გაარჩია ეს საქმე და ზედამხედველად ნამყოფი ჩერნენკო გაამართლა. ის უკვე განთავისუფლეს. ჩერნენკოს იცავდა სამოსამართლოს მიერ დანიშნული დამცველი. („იმერეთი“).

ქიზიყი

◆ 16 სექტემბერს, ქ. სიღნაღში მოხდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სიღნაღის განყოფილების დამფუძნებელი კრება.

კრებას ხალხი ნაკლებ დაესწრო, ამისათვის თუმცა სხვა და სხვა საორგანიზაციო კითხვებზე ბევრი ილაპარაკეს დამსწრეთ, კრება მაინც უნაყოფოდ ჩაითვლება. რადგანაც გამგეობამ არავითარი შემუშავებული გეგმა არ წამოადგინა, მომავალ მუშაობისთვის და ნახევარი ნაწილი გამგეობის წევრებისა სრულიადაც არ გამოცხადდა, კრებამ გადასწყვიტა ჩაემატოს კიდევ სამი ახალი მომქმედი წევრი—სასურველია ქალებიც ამოვარჩიოთ გამგეობაშიო და კრება გადაიდო თოთხმეტ ღვინობისთვის. იმედია, რომ მაშინ მაინც მეტი საზოგადოება დაესწრობა და ხელს შეუწყობს, ამ უსაჭიროესს ხალხურს დაწესებულებას.

14 ღვინობისთვის კრებაზე—სხვათა შორის, უნდა გადასწყდეს სიღნაღში წიგნის მაღაზიის, სამკითხველოს და ბიბლიოთეკის დაარსების კითხვა.

სოფლად

◆ ს. მირზაანის (ქიზიყი) მცხოვრებელნი ნიკო ბაბიას ბიჭი და გიგო გონაშვილი ალაზანზე წავიდნენ—პურის დასაფქვავად. იქ მათ დაუკარგავთ საქონელი, რომელნიც „სტრაჟნიკების“ დახმარებით ჩქარა უპოვნიათ, მხოლოდ ნიკა ბაბიას ბიჭი კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, იგი 29 წლის კაცია, ცოლისა და წვრილ-შვილის პატრონია. 24 სექტემბერს, მამასახლისმა დიმიტრი გონაშვილმა მდევარი დაადევნა, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს.

◆ ს. კაბალოს მცხოვრები სადინალი-ოღლი თოფით დასჭრა მეზობელმა თათარმა, რომელსაც მას ჩხუბის შემდეგ მამასახლისთან უჩივლა. დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინა ფერშალმა შიუკაშვილმა—დამნაშავე კი შეიპყრეს.

◆ მაჩხაანის ბოქაულის განკარგულებით ს. მირზაანის მამასახლისმა ყარაულებით შეიპყრეს ცნობილი ქურდი, გამოქცეული ჯარის-კაცი ივანე ფირუსმანაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა სტ. ზუბადალოშვილისგან მოპარული ორ-ლულიანი თოფი, რევოლვერი და გძელი ხანჯალი.

(ხმა კახეთისა).

◆ სოფ. ნინო-წმინდაში (გარეკახეთი) სანადირო თოფით **მოჰკლეს კახეთის რკინის გზის მოიჯარადრე ისიდორე ფოჩხიძე.** გამოძიებამ დაამტკიცა რომ ბოროტმოქმედება ა. გვენეტაძემ და ბ. ჰელშეულმა ჩაიდინეს. პირველი მათგანი შეიპყრეს.

◆ **თიანეთის მხარე.** სოფიო მოსავლიშვილის სახლიდან უცნობებმა გაიტაცეს სხვა და სხვა ნივთები და 358 მან. 10 კ. თამასუქები.

◆ **ღ. ხარაგოული,** სადგურ მარელისისა და მოლითის შუა, მდინარე ჩხერიმელის პირად, ბავშვებს თევზაობის დროს უპოვნიათ ღლამში ჩაფლული **ოთხი ბერდანის თოფი.** ეს ამბავი პოლიციისათვის უცნობებიათ, რომელსაც დაუყონებლივ გაუჩხრეკია [illegible] და იქვე აღმოუჩენია 500 ბერდანკის პატრონი.

◆ ადგილობრივ ორ კლასიან სამინისტრო სკოლაში, მოწაფეთა სიმრავლის გამო, დაინიშნა **მეხუთე მასწავლებელი.**

◆ 29 სექტემბერს საღამოს 10 ს. და 50 წ. და დილის 5 ს. და 25 წ. მიწა საგრძნობლად იძრა.

◆ **ტფილისის მაზრა.** ს. პრიუტის გზაზე ცეცხლი გაუჩნდა ტანას თანაზოვის „ფურგონს“, რომელზედაც ახ. ალექსანდროფის მედუქნე მანდურიშვილის ფართალი ეწყო. ზარალი 1200 მანეთამდეა. ეჭვი აქვთ რომ ფურგუნს ცეცხლი განგებ წაუკიდეს.

◆ **ს. კოჯორი.** საფოსტო სადგურის მეეტლემ ისაკ ჩხობიანოვმა დანით მუცელში მძიმედ დასჭრა სტაროსტა გარსევან გევორქოვი. გევორქოვი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა ჩხობიანოვი შეიპყრეს.

◆ ს. სოღანლუღის მოშორებით, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად, იპოვეს გვამი 27 წლის სპარან არაშესისა. გვამს ორი სასიკვდილო ჭრილობა ეტყობოდა. მკვლელებს ვერ მიაგნეს.

დ ე პ ე შ ა

ბ ა ნ ძ ა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ხმათა უმრავლესობით რწმუნებულებად აირჩიეს კიტა აბაშიძის მომხრენი. თუმცა გეგეჭკორმა თეთრი ერთის ხმით მეტი მიიღო შავზე, მაგრამ ამომრჩეველთა რიცხვში მაინც ვერ მოჰყვა. სხვა სოციალ-დემოკრატები გაშავდნენ.

თ ე ლ ა ვ ი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქ. თელავში ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქმნა თავადი ლევან რევაზის ძე ვახვახიშვილი—კარლო ჩხეიძის მომხრე.

ა ხ ა ლ ც ი ხ ე.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ქ. ახალციხიდან სათათბიროს დეპუტატის ამომრჩეველ რწმუნებულად აირჩიეს ნაფიც ვექილის თანაშემწე არმენაკ გიორგის ძე ბუდუღოვი.

მაზრიდან აირჩიეს სოფ. აწყვერელი გლეხი სულეიმან ალი-ოღლი.

მემამულეთა არჩევნები არ შესდგა.

ბალკანეთის ომი.

დ ე პ ე შ ე ბ ი

სოფია. დილით სტარიზაგორის ეკლესიაში ფერდინანდ მეფემ მანიფესტი წაიკითხა. ბულგარეთის ჯარმა ოსმალების სამხრო პოზიცია კურტაკაედო დაიჭირა.

საბერძნეთის ელჩმა პანასმა ჰეშოვს გადასცა კორომელასის დეპეშა, საცა ომის გამოცხადების ამბავს ატყობინებენ: ბერძნები ძმურ სალამს უძღვნიან ბულგარელებსაო. ჰეშოვმა სთხოვა საბერძნეთის ელჩს, გადაეცა საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრისთვის დიდი მადლობა. ჰეშოვი კმაყოფილია, ვინაიდან ეძლევათ ღონისძიება დიადი და კეთილშობილური მიზანი განახორციელოს.

ჰეშოვმა ჩერნოგორიის, საბერძნეთის და სერბიის პრემიერ-მინისტრებს დეპეშები დაუგზავნა. ჰეშოვი ატყობინებდა ბულგარეთის მიტროპოლიტის მხურვალე ლოცვას ოთხთა კავშირის საკეთილდღეოდ. ჰეშოვი უსურვებს მეგობარ სახელმწიფოთ ბრწყინვალე გამარჯვებას.

სტამბოლი. 400 ალბანელი სტუდენტი დერვიშ-ხიმის უფროსობით ბულგარეთის საზღვარზე მიდიან.

ბულგარეთში, ტომრაშის ოლქში, გახურებული ბრძოლაა. ბულგარელებმა თავიანთი პოზიციები დაიჭირეს.

ბულგარეთის ელჩმა სტამბოლიდან წასვლისას უთხრა სააგენტოს კორესპონდენტს, რომ იგი მიდის მხიარული და ღრმად სწამს გამარჯვებაო.

სტამბოლი. საბერძნეთის ნოტის შინაარსი გამოქვეყნებული არაა. დაახლოვებით შემდეგი შინაარსისაა: ვინაიდან პორტამ კეთილ არ ინება და არ უპასუხა საბერძნეთის, სერბიის და ბულგარეთის ნოტას, რადგანაც ოსმალეთის მოქმედება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, საბერძნეთი ომს გამოცხადებულად სთვლის და საკითხის გადაწყვეტას იარაღს მიანდობს.

ათინა. კორომელმა პალატას გადასცა, რომ ომი გამოცხადებულია, რისთვისაც ხანგრძლივი ტაშის ცემით იყო დაჯილდოვებული. საბერ-

ნეთის ჯარი საზღვარს გადავიდა. მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. სამი დივიზია ელასონისკენ იძვრიან. პირველმა დივიზიამ მელიენის უღელტეხილი გადაირა და ცარიცანტს მიუახლოვდა.

მინისტრმა პორტას შეატყობინა, რომ საბერძნეთის ფლოტი ზღვაში შეცურდა იმ იმედით, რომ ოსმალეთის ფლოტს შეეტაკებაო.

პოდგორიცა. სახვიმ-ბეი მიეჩქარებოდა 2000 არნაუტით ქალაქ ბერანეს უკან დასაბრუნებლად, მაგრამ ჩერნოგორელებმა ხელთ იგდეს მთელი რაზმი და გაანადგურეს. 280 კაცი ტყვედ წაიყვანეს.

ბელგრადი. ოფიციალურად გამოირკვა, რომ სერბიელების იერიშით მისვლა პრიშტინზე ტყუილიაო. 5 ოქტომბერს არნაუტების რაზმი დაეცა პრეპოლიეს, მაგრამ სერბიელებმა უკუაგდეს. ოსმალებმა სანჯაკში ბევრი ხიდი დაანგრიეს. მთავარი ხიდი, რომელსაც 500 არნაუტი იცავდა, სერბიელებმა დაიჭირეს.

სტამბოლი. ოსმალეთის ფლოტი ზღვაში შეცურდა, ბულგარეთის ნავთსადგურისთვის სროლის ასატეხად.

საბერძნეთის ელჩმა დაუდასტურა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ საბერძნეთიც მხარს უჭერს ბალკანეთის სახელმწიფოებს და პორტას ომს უცხადებსო. პორტამ ულტიმატუმის მიღების უარი სთქვა და ყოველ ღონესა ხმარობდა საბერძნეთი გამოეყო ბალკანეთის კავშირიდან. საბერძნეთის ელჩი სტოვებს სტამბოლს.

ოსმალების აღტყინება და ფანატიზმი დღითი-დღე მატულობს.

ომი ასტყდა ოთხსავე საზღვრებზე.

სტამბოლი. მსოფლიოს პატრიარქი სთხოვს პორტას ქრისტიან ჯარისკაცთათვის დაინიშნონ ჯარის მღვდლები. სტამბოლში მცხოვრებნი ბულგარელნი პროფესორები და მასწავლებლები შეიპყრეს და სამხედრო სასამართლოს გადასცეს.

სარაევო. „ზემანმა“ დაბეჭდა მკვეთრი წერილი ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირის წინააღმდეგ. მუსულმანები ამ კავშირში ჰხედავენ ჯვაროსნობის განახლებას და მზად არიან ისლამის დასაცავად ადგენენო.

პოდგორიცა. სკუტარის ასაღებად ჩერნოგორელები ენერგიულად ემზადებიან იერიშით მიდიან სკუტარის მახლობელ სიმაგრეებზე. ბალკანეთის სახელმწიფოების ომის გამოცხადებას დიდის სიხარულით შეხვდნენ.

ბერლინი. გერმანიის წითელმა ჯვარმა ოსმალეთში გაგზავნა 22 სათნოების და.

ბელგრადი. სერბიის ჯარი დილის 6 საათზე საზღვარს გადავიდა.

სტამბოლი. საბერძნეთის თორმეტმა გემმა, პურით დატვირთულმა, ნება მიიღო დარდანელში გასვლისა.

ათინა. იონიის ზღვის ესკადრის დივიზია პრევაზას გარს შემოერტყა. თესალიის ჯარმა, ელასონისკენ რომ იძვრის, მიიღო მაშველი ჯარი. ოსმალეთის ჯარი ეპირში 6000 კაცს არ აღემატება. როგორც ხმები დადის პრევეზა ოსმალებმა დასტოვეს.

პრაგა. „ნაროდნი ლისტი“ აღნიშნავს ავსტრიის პოლიტიკის მშვიდობიან ხასიათს; მაგრამ მაინც აფრთხილებს ოპტიმიზმს ნუ მიეცემითო, პოლიტიკის შეცვლა ადვილად შესაძლებელია. გაზეთი ამბობს, სახელმწიფო საცა 25 მილიონი სლავიანი სცხოვრებს ფრთხილად უნდა მოექცეს სლავიანთა საკითხსო.

სტამბოლი, სამხედრო სამინისტროს ცნობებით, ჩერნოგორელების მიერ ტუზის აღება დიდ მნიშვნელოვანს არაფერს წარმოადგენს. ჩერნოგორელებმა წაართვეს 8 ძველი ზარბაზანი. ჩერნოგორელებმა ქალაქი აიღეს ადვილად მალისორების ღალატით. ბულგარელნი მიუახლოვდნენ მალკოჩს კირკ-კილისის ახლოს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ოსმალებმა დაიჭირეს პოზიციები. ყოფილმა დეპუტატმა ჰასანმა მოაწყო ალბანელების რაზმი სერბიელებთან საბრძოლველად. ოსმალეთის სააგენტომ გამოაქვეყნა დეპეშა, საცა იტყობინებიან ოსმალების მიერ სერბიის ბოლოკჰაუზის დაჭერას, მოელიან წითელი ჯვრის საავადმყოფოს 90 საწოლით დაჭრილ ოსმალთათვის.

ბუხარესტი. სდგება ახალი კაბინეთი მაიორესკის თავმჯდომარეობით. მინისტრთა კაბინეტში შედიან კონსერვატორები და კონსერვ. დემოკრატები.

ათინა. საბერძნეთის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა სახელმწიფოებს, რომ ბლოკადა გომენიცის და არტსკის სრუტეში დაწყებულია. გენერალი დანგლი, ატყობინებს, რომ ბერძნებმა ოსმალები ელასონიდან განდევნეს და ქალაქი დაიჭირეს. მემკვიდრე უფროსობდა ჯარს. ეპირის ჯარმა დაიჭირა გრიმინისტა გენერალს აპუნზაკიზას უფროსობით.

სტამბოლი. ნაზიმ-ფაშამ გამოსცა შემდეგი ბრძანება: „გაჭირვებული მდგომარეობა ისე არა დროს ყოფილა, როგორც ეხლა. ბალკანეთის სახელმწიფონი ჰლახავენ უფლებას და სამართლიანობას, სახელმწიფოთა რჩევას აბუჩად იგდებენ. აფიცერნო და ჯარის-კაცნო! თქვენი ვალია შური იძიოთ და დაუმტკიცოთ ქვეყნიერებას, რომ სიმამაცე წინაპრებისა შთამომავლობაზე გადმოვიდა. თქვენი წინაპრები ანატოლიიდან გადმოვიდნენ რუმელიაში და დაიპყრეს თვალ-უწვდენელი მიდამოები. თქვენი ვალია ეს მიდამოები ხელუხლებლივ ჰყოთ. სასტიკად დასაჯეთ მტერი! ამით თქვენ წმინდა საქმეს დაიცავთ! ტყუილ-უბრალოდ ნუ დაჰღვრით სისხლს, ნუ მოექცევით მკაცრად ქალებს, ბავშვებს და ტყვეებს, დაიცვით ცხოვრება და ქონება მცხოვრებთა, პატივი ეცით სარწმუნოებას, გამოიჩინეთ ლმობიერება მებრძოლთა მიმართ, რომელნიც უფროსების ბძანებით იბრძვიან. დაუმტკიცეთ კულტუროსან ქვეყანას, რომ ოსმალნი იმავე კულტურულ სიმაღლეზე სდგანან, რაზედაც სხვა ცივილიზაციით მოსილი ხალხი. ისწრაფეთ წინ, და იცოდეთ ღვთის კურთხევა მარად თქვენთან არს“.

ათინა. კრიტის 2500 ჯარის კაცი ბრძოლის ველზე მიეჩქარება. აღმოსავლეთს ბანკი, მიუხედავად, ომისა განაგრძობს საქმის წარმოებას. გეორგ მეფემ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მოკავშირე სახელმწიფოებს. საერთო უბედურებამო, სწერს მეფე, შეგვაკავშირა ჩვენ განუწყვეტლის ჯაჭვით ქრისტიანთა გასანთავისუფლებლად. ბულგარეთის პრეზიდენტ-მინისტრი საპასუხო დეპეშაში საბერძნეთის მინისტრს ვენიზელოს მადლობას უძღვნის ბალკანეთის კავშირის ინიციატივისთვის.

სტამბოლი. ოსმალეთის ფლოტმა უკან დააბრუნა ნავთსადგურში ბულგარეთის ნაღმებიო. ბულგარეთის ჯარი უკუქცეულ იქმნა ოსმალების მიერ, ისინი სცდილობდნენ ხელთ ეგდოთ სიმაგრე არდოგმუნი. ბულგარეთის და სერბიის საზღვრებზე ბრძოლა სწარმოებს კურმუშლის და პოდუსვის შუა, სერბიის საზღვარზე გახურებული ბრძოლაა. ორი გერმანელი მფრინავი მივიდა. 56 საათი გრძელდება ბულგარეთის საზღვარზე ბრძოლა.

ბელგრადი. ნიშში 5 ოქტომბერს გამოიცა მეფის მანიფესტი მომხდარმა ამბებმა ხელ-ახლა წამოგვიყენეს საკითხი ბალკანეთის სახელმწიფოების ბედისა საზოგადოდ და კერძოდ ძველი სერბიისაო, ნათქვამია მანიფესტში, ოსმალების მისწრაფებაა გაანადგუროს ჩვენი მოძმენიო. ბერლინის კონგრესიდან დაწყობილი დღევანდლამდე ოსმალები სდევნიდნენ ჩვენ ენას, სარწმუნოებას, სერბის სახელს. წინად ძველი სერბიის აწიოკება სასტიკად და უხეშად ჰხდებოდა, ეხლა კი ახალი ზომების წყალობით იგივე ამომფხვრელი პოლიტიკა სწარმოებს. ამის გამო ძველ სერბიიდან დაიწყო დენა მკვიდრ მცხოვრებმა, რამაც ნივთიერად გააღარიბა სერბია. ოსმალეთი თავის მტრობას უფრო სასტიკად, უფრო მკაცრად იჩენდა საერთაშორისო უფლების მოპოვების მიმართ—ეკონომიურ წინმსვლელობისადმი და კულტურულ განვითარებისადმი სერბია ზღვას იყო მოშორებული. ამიტომ იგი ითხოვდა რკინის გზის გაყვანას სერბიის საზღვრიდან ადრიანოპოლის ზღვამდე, ეს იყო დიდმნიშვნელოვანი საკითხი სერბიის არსებობისა. ამასაც ყურად უღებელ სტოვებდა ოსმალეთი. ყოველი ღონე, მიმართული რეფორმების განხორციელებისაკენ უნაყოფო იყო. ჩემის მხრივ, ამბობს მეფე მანიფესტში, ყოველი ზომა მივიღე მშვიდობიანის გზით უზრუნველ-მეყო ადამიანური ცხოვრება ჩვენი და ჩვენი მოძმეებისა, ამ მიზნისთვის შევკარით კავშირი ბალკანეთის სახელმწიფოებმა. და ამ დროს ოსმალეთის მობილიზაციამ ძალიან გაგვაოცა და საპასუხოდ გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მობილიზაცია. მაინც ჩვენ კიდევ გასავალ კარს ვეძებდით ამ დახშულ და ძნელ მდგომარეობიდან. ამის ჯილდოდ ოსმალების მხრივ იყო ჩვენი თვისტომთა და მოძმეთა ამოხოცვა, ჩვენი საზღვრების გადალახვა ოსმალების ჯარისა, ელჩების გაწვევა ბელგრადიდან, სოფიიდან და ათინიდან. ამისთვის მოვუწოდებ ჩემ ერთგულ ჯარს, სისხლი დაღვაროს ამ წმინდა ბრძოლაში, ჩვენ ძმათა განსათავისუფლებლად და სერბიის სამეფოს კეთილ მომავლისათვის. ჩვენ თავისუფლება მიგვაქვს ყველასთვის: მუსულმან-სერბიელებისათვის, არნაუტებისათვის, რომელთანაც 1300 წელი სცხოვრობს სერბიის ხალხი. წინსვლა და ბედნიერება,—აი რისთვის იბრძვის სერბია. ლაბას, სიტნიცას, იბარის, დრინას და ვარდასას ნაპირებზე მიგვაქვს ბედნიერება. მოგიწოდებთ თქვენ, ძვირფასნო მოძმენო საბრძოლველად და ჯარის სასახელებლად, მიზნის განსახორციელებლად! გაუმარჯოს სერბიის ხალხს!“ გაზეთები ამ მანიფესტის გამო აღტაცებულ წერილებს ათავსებენ.

სოფია. ბულგარელები წინწინ ილტვიან. ოსმალეთის ჯარი უკან იწევს. მთავარი პუნქტები და ქალაქები ხელთ იგდეს ბულგარელებმა.

ვარონა. დილის 7 საათს, 2 ბულგარების ნაღმი შეხვდა ოსმალეთის ბრანენოსცებს „ტარგუტს“ და „ბარბაროსს“. ოსმალეთის ესკადრამ სროლა აუტეხა. ბულგარების გემები უკანვე დაბრუნდნენ.

ბელგრადი. პირველი არმია მემკვიდრე ალექსანდრეს უფროსობით გადავიდა როსტოვაცასთან საზღვარს, რკინის გზის სადგური და სოფელი ზიშევჩე დაიჭირა. ოსმალების ჯარი მდინარე მორავის იქით არის. მესამე არმია იანკოვიჩის უფროსობით პსეპოლაციიდან პრიშტინისკენ იწევს. სერბია-ბულგარეთის ჯარი სტეფანოვიჩის უფროსობით კიუსტენდელით დუბნიცში და მაკედონიაში მიდის. შეიძლება სამივე ჯარი შეიყარნენ ოვჩაგოს ველზე, საცა იუსკიუბოს ბედი გადასწყდება.

ათინა. საბერძნეთის ჯარმა ელასონის სიმაღლეები დაიჭირა. ოსმალეთის ჯარმა დაიხია სერფიჯისკენ. ბრძოლა მოსალოდნელია ელასონსა და სეფიჯის შუა.

სოფია. ყველა ეკლესიებში გადაიხადეს პარაკლისი ბულგარეთის გამარჯვებისთვის.

პოდგორიცა. ჩერნოგორიის ჯარმა დღეს დაიჭირა გუსინიე.

ათინა. 3 საათის სროლის განმავლობაში ბერძნებმა აიღეს ქალაქი ელასონი.

პარიზი. რადიკალების გაზეთი „რადიკალი“ აღნიშნავს რუსეთის ზომიერებას დი მის გარემოების შეგნების უნარს. გაზეთს იმედი აქვს რუსეთი შეიკავებს სლავიანთა გატაცებას და ამით რუსეთის სახელმწიფოს ძლიერებას უზრუნველჰყოფსო.

გაზეთებიდან.

ჩერნოგორიის გამარჯვებანი.

უკანასკნელი დღეების ... ბრძოლებში ჩერნოგორელებმა მეტად წაიწიეს წინ ნოვობაზარის სანჯაკში. 3 ოქტომბერს მათ აიღეს ვრანსკობრდოს სიმაგრე, სადაც ტყვედ ჩაუვარდათ სამი როტა ოსმალო; იმავე დღეს სასტიკი ბრძოლის შემდეგ დანებდა ტუზის ძლიერი ციხე შვიდი ბატალიონითა და 9 ზარბაზნით. 4 ოქტომბერს, უკანასკნელი ციხე ტუზსა და სკუტერის შუა, ხელში, დაემხო—ჩერნოგორელებმა ტყვედ წაიყვანეს 63 ოსმალო-აფიცერი.

მთების არწივს

I

ფრიალო კლდეთა შავო არწივო,
მო, ჩამოფრინდი დაეშვი დაბლა,
ფრთები გაშალე მძლავრ განიერი,
და აღმიტაცე მაღლა, სულ მაღლა.
არარაობის მწირ უდაბნოში,
ვეღარ განვუძლებ ყრუ მარტოობას,
იქ კი, დაბურულ ცხოვრების ტყიდან
გამოვექეცი სულის ობლობას.

II

იქროლე ჩემო ოცნების გედო,
ცათა საფრენად გაშალე ფრთები,
შავი ფიქრების შავო არწივო,
ჰკა, გაარღვიე ღრუბელთა მთები.
მოლღილი ვრძნობა მივცეთ ნიავ-ქარს,
მიწის გოდებაც მას შეუერთოდ;
ღელვილ სტიქის მძვინვარ ქარტეხილს
გადავექსოვოთ, ის გავაღმერთოდ.

III

ზვიადი გულის, ტლუ მისწრაფებავ,
შეინავარდე, აფრინდი მაღლა
და თუ ქართაგან ფრთებ-მომსხვრეული
ელვის სისწრაფით დაეშვა დაბლა
მოკვდი უხმოთა, არ გამაგონო
ამაო მოთქმა სინანულისა,
ნიავს გაატანე ალმა ცისაკენ
უკანასკნელი ოხვრა გულისა.

V

მაშ, მამცნე მოსვლა შენის ყივილით,
მთების არწივო, ძირს ჩამოფრინდი;
ფრთები გაშალე მძლავრ განიერი,
გარდამაცილე ცხოვრების ბინდი.

გ. ქუჩიშვილი.

ბერანის აღება.

ბელოპოლიის დაჭერის შემდეგ, ჩერნოგორელი ჯარის აღმოსავლეთის რაზმმა მოკლური უქმნა ქ. ბერანეს და ცხარე ბრძოლის შემდეგ აიღო; მრავალი ტყვე, სამხედრო სურსათი 14 ზარბაზანი ჩაუვარდათ ხელში ჩერნოგორელებს.

სერბიის საზღვარზე.

სერბიელები პლეველიეს ახლოს გადვიდნენ ნოვობაზარის სანჯაკში და იერიში მიიტანეს ტიბევეს ციხეზე.

ოსმალების სამხედრო გეგმა.

ინგლისური გაზეთების ცნობით, ოსმალები ჰფიქრობენ, უბრძოლველად მოუშვან ბულგარები ადრიანოპოლამდე. ამ ციხეში 50,000 ჯარის კაცია საუკეთესო არტილერიით; ალყა დიდ ხანს გასტანს და ამ ხნის განმავლობაში ოსმალებიც ძალას შემოიკრებენ მცირე აზიიდან.

ოსმალეთის ფლოტი.

ოსმალეთის ფლოტი მზად არის ბოსფორის სრუტეში; იგი ბრძანებას ელის, რომ იერიში მიიტანოს ბულგარეთის სანაპიროებზე. მთავარი სადგომი დროებით სან-სტეფანოში იქნება, სადაც თვით სულთანი დაათვალიერებს ფლოტს.

ავსტრიის ზრახვანი.

ავსტრიის ელჩმა პალავიჩინიმ ნორადუნგიან-ეფენდის ურჩია: ნოვობაზრის სანჯაკში დიდძალი ჯარი შეიყვანეთ, რათა ხელი შეუშალოთ სერბიისა და ჩერნოგორიის მიერ მის დაპყრობას, თორემ მერე საქმის სერიოზული გართულებაა მოსალოდნელიო.

სომხების დაცვა.

ინგლისმა და საფრანგეთმა გადასწყვიტეს, რამდენიმე კრეისერი გაგზავნონ მცირე აზიის ზღვაში სომეხთა დასაფარავად.

მიტროპოლიტი და მოხალისენი.

„ტანინი“ ირწმუნება, რომ პრიზრენის მიტროპოლიტი ნიკიფორე მოხალისეთა რაზმს ადგენს სერბიის დასახმარებლადო.

ბერძნების ემიგრაცია.

ბალკანეთის მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ოსმალეთიდან 32.000 ბერძენი წავიდა.

საჭურისები მოხალისეებად.

სულთნის ჰარამ-ხანის საჭურისებმა სურვილი გამოსთქვეს ოსმალოს ჯარში მოხალისეებად ჩაწერისა.

ისა ბოლეტინაცი.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ალბანეთის მეამბოხეთა განთქმული ბელადი ისა ბოლეტინაცი თვისი რაზმით ბალკანეთის მოკავშირეთა ჯარში იბრძოლებს ოსმალთა წინააღმდეგო.

სერბიის ლაშქარი.

სერბიის ჯარი სამ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი გენ. ჟივკოვიჩის მეთაურობით სანჯაკშია თავმოყრილი, მეორე—ძველი სერბიის საზღვარზე; ეს რაზმი გენ. სტეფანოვიჩის წინამძღოლობით ამ ჟამად ოსმალთ ებრძვის. მესამე ნაწილი სამხრეთით იმოქმედებს ადრიანოპოლთან. იგი ბულგარეთის ჯარს შეუერთდება.

ოსმალეთის დამხმარე ჯარი.

გენ. ჰასან-ბეი 15 ათასი კაცით ჰრიშტინს უახლოვდება, სადაც ამ ჟამად არტილერიის ფიცხელი ბრძოლა სწარმოებს.

ავსტრიის მობილიზაცია.

ავსტრიამ მე-5 კორპუსი მოიწვია პრესბურგში, ხოლო მეორე სამხრეთში.

ოსმალეთ-იტალიის ზავის პირობები.

ამ დღეებში ჩამოვარდა ზავი იტალიასა და ოსმალეთს შორის. ზავის უმთავრესი მუხლები ასეთია:

1) საომარი მოქმედების შეწყვეტა, როგორც ხმელეთზე, ის ზღვაზე; სრული ამინისტია არაბებისა, რომელნიც ომში მონაწილეობდნენ.

2) განუსაზღვრელი სუვერენიტეტი იტალიისა ტრიპოლიტანიაზე.

3) დაუყოვნებელი გამოყვანა ოსმალეთის ჯარისა ლიბიიდან.

4) განთავისუფლება იტალიის მიერ დაპყრობილი კუნძულების ეგეის ზღვაზე.

5) ოსმალეთმა ფულით საზღაური უნდა მიიღოს იტალიისაგან.

ავსტრია და ჩერნოგორელები.

ბელოპოლიეს აღებამ ავსტრიის დიპლომატიურ წრეებში დიდი შეშფოთება გამოიწვია.

„ნეიე ფრ. პრესსე“ ამბობს:

— ნოვობაზარის სანჯაკის ბედს ვერ გადასწყვეტენ სერბია და ჩერნოგორიაო.

საომარი სამზადისი.

„ბერლ. ტაგებლატის“ ცნობით, ბოსნიისა და გალიციის გარნიზონები გააძლიერეს. კრაკოვი სამხედრო ბანაკს დაემზგავსა. მთელს ავსტრიაში გაცხარებული საომარი მზადებაა.

ბოსნიის მოხალისენი.

დაბეჯითებით ამბობენ, რომ ავსტრია 20.000 მოხალისეს გადაიყვანს სანჯაკში. თუ იგინი დამარცხდნენ, მაშინ ავსტრიას საბაბი ექნება ომში ჩარევისა თავის ქვეშევრდომთა დასაცავად.

ჩერნოგორელების გამარჯვება.

გენერ. მარტინოვიჩის ლაშქარმა დაამარცხა ოსმალოს რაზმი. ოსმალებს დააკლდა 300 კაცი, ჩერნოგორელებს ასი. მარტინოვიჩი დაედევნა ოსმალებს და რამდენიმე სიმაგრე აიღო.

სერბია და ოსმალეთი.

ოფიციალური ცნობით, 1 ოქტომბერს ოსმალეთის ჯარი რისტოვაცის ახლოს საზღვარს გადავიდა და იერიში მიიტანა სერბიელების რაზმზე. ბრძოლა გრძელდება.

საბერძნეთის საზღვარზე.

პატრახიდან იტყობინებიან: მელუნის ხეობაში საბრძნეთის მოსაზღვრე ჯარმა მოწინავე სიმაგრეები აიღო.

როგორი იყო სერბიის ულტიმატუმი.

თავის ულტიმატუმში სერბია ავტონომიას მოითხოვს ძველი სერბიისა და სანჯაკისთვის, სერბიელი გუბერნატორის დანიშვნით. სერბია დროებით დაიჭერს სანჯაკს, სანამ რეფორმები განხორციელდებოდეს. ამას გარდა ოსმალეთმა სერბიას უნდა აუნაზღაუროს ის ხარჯი, რომელიც ამ უკანასკნელს მობილიზაციამ მიაყენა.

ბულგარების ამოჟლეტა ველესში.

ოსმალების ჯარისკაცებმა ველესის ბულგარელი მცხოვრებნი ამოჟლიტეს.

სხვა და სხვა ამბავი

როგორც „კასპს“ ატყობინებენ ევროპის სახელმწიფოთა შორის უთანხმოება უეჭველად მოხდება, თუმცა რუსეთის და ავსტრიის კეთილ განწყობილებას აღნიშნავენ. მაგრამ საფრთხე მაინც მოსალოდნელიაო.

კავკასიის უნივერსიტეტი.

12 ოქტომბერს მინისტრთა საბჭო კავკასიის ნამესტნიკის თანადასწრებით კოკოვცოვის თავმჯდომარეობით განიხილავს კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების საკითხს. მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი და ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი გოფშვისტერი პეტერსონი.

იაპონიის მეფე.

გაზაფხულს პეტერბურგში მიელიან იაპონიის მეფეს.

არციბაშევის ნაწერები.

საოლქო სასამართლომ გადასწყვიტა მოსპოს არციბაშევის მოთხრობების წიგნი.

ყაჩაღი მწერალი.

ბრიუსელში შეიპყრეს ბელგიაში კარგად ცნობილი და სახელგანთქმული მწერალი ევგენი დეგრევი. როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა დეგრევი ცნობილ მწერლობასთან ერთად, ცნობილი ავაზაკიც ყოფილა. ამ ბოლო დროს განზრახვა ჰქონდა მოეტაცნა, ერთი მილიონი ფული მაგრამ პოლიციამ გაუგო და შეპყრობილ იქმნა.

დეგრევის [illegible] ახალგაზდობაში მეზღვაურად იყო. 1893 წელს დეგრევს და [illegible] მის ძმას ბრალს დებდნენ გემის კაპიტანის მოკვლა, რისთვისაც მათ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ შემდეგ სასჯელი შეუცვალეს მუდმივ გადასახლებდ ახალ კალედონიაში. აქ მოუკვდა ძმა, თვით დეგრევი კი ათი წლის შემდეგ პატიებულ იქმნა და სამშობლოში დაბრუნდა. დეგრევმა დაარწმუნა საზოგადოება, რომ იგი უდანაშაულოდ დევნილი იყო და იქამდის მივიდა საქმე, რომ მოითხოვდნენ დეგრევის საქმის ხელმეორედ გადაშინჯვას. დეგრევემ მიჰყო ხელი მწიგნობრობას, პირველი მისი ნაწერი აღწერა იყო ნახულ კალედონიაში ცხოვრებისა, რამაც სახელი მოუხვეჭა. ერთმა ბრიუსელის გაზეთმა თავის რედაქციაში სამუშაოდ მიიწვია დეგრევი. ეხლა კი ამ დარბაისელ მწერალს აბრალებენ, ეკლესიის გაძარცვის განზრახვას. ეკლისიის საგანძური ერთი მილიონი ფრანკის ღირებულებას შეადგენდა ამ საქმის ერთ-ერთ მოზიარემ გასცა დეგრევის განზრახვა, და ეხლა სახელგანთქმული მწერალი მთელი ბელგიის სალაპარაკოდ არის გამხდარი.

პორტუგალიის ყოფილი მეფე მოსკოვში.

დასავლეთ ევროპაში გაფაციცებით დაეძებენ პორტუგალიის ყოფილ მეფეს მანუელს. მის საიდუმლო დაკარგვას, როგორც პოლიტიკურ მნიშვნელობას აწერენ, რასაც შეუძლიან პორტუგალიაში ხელახლად მოახდინოს არეულობაო. მანუელი კი როგორც „რუსკოე სლოვო“ სწერს მოსკოვში განისვენებსს. მანუელის მოსკოვში ყოფნას პოლიტიკასთან საერთო არა აქვს რა. მეფე სცხოვრობს მოსკოვის ერთ-ერთ სასტუმროში, მხიარულად ატარებს დროს, თეატრებში და სხვა გასართობ ადგილებში დაიარება. მეფე გრაფი დ. ოპორტოს სახელით სცხოვრობს.

გრ. ვიტე და სახელმწიფოები.

გერმანიის მთავრობა სიხარულით მიეგება ხმებს, ვითომ ვიტე გარეშე საქმეთა მინისტრად ინიშნებაო. ვიტე, ძველი მეგობარი გერმანიისა მუდამ კარგ განწყობილებაში იქნება გერმანიასთანაო. თანაგრძნობითვე მიეგება ამ ამბავს ავსტრიაც. ვიტე და სენტიმენტალობა შორი-შორს არიანო, და იმიტომაც ბალკანეთის საქმეებს უფრო ფხიზლად შეჰხედავსო. ინგლისი ცოტა ვერ არის კმაყოფილი ამ ხმებისა: ვიტეს გერმანოფილობა ჭკუაში ვერ მოსდის.

საპატრიარქო განახლება.

როგორც „გოლოს მოსკვი“ გადმოგვცემს, პეტერბურგში დაჟინებით ლაპარაკობენ საპატრიარქო აღდგენის თაობაზე. ჰფიქრობენ საპატრიარქოს დაარსება რომანოვის დინასტიის 300 წლის დღესასწაულს შეუფარდონ. პატრიარქად ასახელებენ პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

7—8 ოქტომბერი.

საზღვარ-გარედ

ჩერნოვიცი. ბუკოვინის სეიმში ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს დიდი არეულობა მოხდა. რუმინელი კასანოვეცი უსაყვედურებდა დეპუტ. ბლონდს, 70000 მითვისებას. ბლონდმა მოქმედებით შეურაცყოფა მიაყენა კასანოვიცის უკრაინელ ვასილკოს ბოროტ-მოქმედებას ჰსწამებენ.

ვენა. როტშილდის და მუტმონის ფირმამ ჰაერის ფლოტს შესწირეს 100000 კრონი.

უში. ხელშეკრულება ოსმალეთის და იტალიისა შეიცავს 11 მუხლს. ოსმალეთის და იტალიის რწმუნებულთ ევალებათ მთავრობისგან ხელის მოწერისთანავე შესწყვიტონ ყოველივე საომარი მოქმედება, როცა ოსმალნი ტრიპოლიტანს და კირენაიკის დასტოვებენ, მაშინ იტალიელები გამოვლენ ეგეის ზღვის კუნძულიდან.

თეირანი. სალარ-უდ-დოულე 1500 მხედრით თეირანისკენ მიდის. მთავრობა ზომებს იღებს ქალაქის გასამაგრებლად. სად არის სალარ-უდდოულე არ'არის გამორკვეული.

მანილია. სებოს კუნძულზე 3 ოქტომბერს საშინელი ტაიფუნი ამო-

ვარდა. დაიღუპა 400 კაცი, დაანგრია 400 სახლი.

ჩიკაგო. რუზველტის ჯანმრთელობა უკეთესდება.

ვულგელსგაფენი. ადმირალ კოლინოს ძეგლის კურთხევის დროს მეფემ სთქვა: კოლინო იყო, არა მარტო ომის გმირი, არამედ სარწმუნოებისთვის მოწამე. დეე, კოლინიის ერთგულება ჩვენთვის სამაგალითოდ დარჩეს.

რუსეთი

პეტერბურგი. გავრცელდა ხმები, ვითომც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და გარეშე საქმეთა მინისტრის შორის უთანხმოება მოხდაო. სააგენტო იწყება, რომ ეს ცნობა ჭეშმარიტებას მოკლებულია. არავითარი განხეთქილება მომხდარა კოკოვცევსა და საზონოვის შორის, არც ბალკანეთის საქმეების გამო და არც სხვა საკითხის გამო.

ცარიცინი. ელიოდოროვცევის დეპუტაციას ეპისკოპოს ალექსიმ უთხრა, რომ რადგანაც მონასტერში უწესოება დამყარდა ის იძულებულია ქალთა მონასტრად აქციოს ან და სრულიად დაკეტოსო.

მოსკოვი. სლავიანთა დამხმარებელ კომიტეტმა სლავიანთა გამარჯვებისთვის პარაკლისი გადაიხადა. ამოირჩია პრეზიდიუმი, დაავალა ყველას, ვანურჩევლად პარტიისა მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის მოქმედებაში.

მოსკოვი. დაიჭირეს გაზეთები" „რუსკია ვედომოსტი" მე-230 ნომერი და „ცერკოვიე" მე 41 ნომერი. რედაქტორები სამართალში არიან მიცემულნი 129 მუხლის ძალით.

პეტერბურგი. სამართალში არიან მიცემულნი რედაქტორები „პეტერბურგის ლისტოკისა" და „ვეჩერნეს ვრემიასი", ყალბი ცნობების გავრცელებისთვის.

ტაგანროგი. ბალკანეთის სლავიანთა დასახმარებლად შესდგა ახალი კომიტეტი.

პეტერბურგი. დაიჭირეს „ნაშა ზარიას" ნომერი წერილის დაბეჭვდისთვის „სოციალ დემოკრატია არჩევნების წინ".

თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილის სახალხო სახლი. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის გამგეობამ მხედველობაში მიიღო, რომ წარსულმა წარმოდგენამ, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა"-მ მოიზიდა აუარებელი საზოგადოება და ბევრს მოუხდა უკან გაბრუნება. ამისათვის გადასწყვიტა, რომ სამშაბათს 9 ოქტომბერს, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" გაიმეოროს.

13 ოქტომბრისთვის წრე ამზადებს გოგოლის უკვდავ კომედიას „რევიზორ"-ს, რომელსაც დასდგავს რეჟისორი ალ. წუწუნავა, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიზანსცენებით.

ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამ სეზონისათვის დასში იწვევს ქ-ნ ცაცა ამირეჯიბს.

გადაუთარგმნიათ ჟან რიშპერის ხუთ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა **„სიყვარული და სამშობლო"**. პიესა საცენზურო კომიტეტში წარუდგენიათ და მალე ქუთაისის დასი დასდგავს. დაიბეჭდა და გამოვიდა სოფოკლეს ტრაგედია **„ოიდიპოს მეფე"**.—ბერძნულიდან ნათარგმნი პ. ქავთარაძისა.

საფრანგეთის ერთ-ერთ ფირმას განუზრახავს სინემოტოგრაფის ლენტზე გადაიღოს პიესები ქართველ-ისტორიულ ცხოვრებისა: მხედველობაში აქვთ „ლალატი", „პატარა კახი" „ვეფხის ტყაოსანი", „გულ ჯავარ"...

წ. კ. გ. საზ. ფოთის განყოფილებას განუზრახავს აგოს სათეატრო შენობა, ამის თაობაზე თათბირი მალე ექნებათ.

ოზურგეთში სათეატრო შენობა ამ ერთ თვეში დასრულდება.
(„ჩვენი თეატრი").

სიღნაღი. შაბათს, 13 ღვინობისთვეს სიღნაღის საკრებულო დარბაზში, გაიმართება წარმოდგენა წერა-კითხვის განყოფილების სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება „მეგობრობა" შიუკაშვილისა—ქართულად და „ახალ ჯვარწერილთა თავგადასავალი".

წერილი რედ. მიმართ

პატივსაცემო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ქალ. **სოფიო პეტრე ეპიტაშვილის ასულს**, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ს. **მარტყოფის** სამინისტრო სკოლის ბიბლიოთეკას საჭირო წიგნები და წიგნაკები, სულ 30 ცალი.

გამგე მარტყოფის სამინისტრო სკოლისა **ტრ. ფანჯავიძე.**

ბატონო რედაქტორო, ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა ვუძღვნა იგიდირის საფოსტო კანტორის უფროსს არჩილ სოლომონის-ძე ციხისთავს, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულ ერთ კლასიან სკოლას შემოსწირა შემდეგი ქართული წიგნები: 1, საუნჯე ავანტყოფობისა ი. როსტომაშვილისა. 2, სულით ავანტყოფობა მოსწავლეთა. 3, რისგან სნეულდებიან და იხოცებიან ბავშვები. 4, მთვრალობა და მის წინაალმდეგ ბრძოლა. 5, მესხეთ-ჯავახეთის გათარება. 6, თავდი იერონიმე 7. მთიული სოსე. 8, ქიტესა. 9, თამარ მეფე. 10, ქუთათელის სიზმარი. 11, ნიკოლოზ გოსტაშაბაშვილი 2 ცალი. 12, მგზავრის წერილები. 13, უცნაური ამბავი. 14, აჩრდილი. 15, სცენები გლეხთა განთავისუფლებიდან. 16, განდეგილი. 17, კაკო ყაჩაღი. 18, კაცია ადამიანი. 19, დედა-და-შვილი. 20, სარჩობელაზედ. 21, ი. ჭავჭავაძის რჩეული ლექსები. 22, ნაკვესები, 23, ელისო. 24, როსტომ მეფე. 25 ორიოდე სიტყვა ერეკლე მეფის გადაცვალებაზე. 26, მეფე ერეკლე და ინგილოელი ქალი. 27, იავნანამ რა ჰქმნა. 28, თავდადესულნი ქართველნი. 29, გოგია მეჩონგურე. 30, გოგია უიშვილი. 31, გამოცანები რ. ერისთავის. 32, მეფე ერეკლე. 33, სვიმონ მეფე. 34 დედები და დამშეულთა სიმღერა. 35, ფაბიოლა (უწინდელი ქრისტიანები). 36, დები ტოლსტოისა. 37 ალი ნიკ. ლომაურისა. 38, шота руставели. 39 ძვირად დაჯდა. 40. ქართველი ქალები დ. ბაქრაძისა. 41, ამოდის და ნათდება

პატივის ცემით ფშავლის სკოლის მასწავლებელი **ევგ. დალაქიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო № 4,** ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო № 6,** ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ. № 3,** დილ. 9 ს. 41 წ. **სახ. № 5,** საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ. № 9/10** ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ. № 77 **,** ილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ. № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., სად. 7 8 წ. **სახ. და საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, სად. 9 ს. 56 წ. **საფ. № 3,** დილ. 8 ს. 41 წ. **სახ. № 5,** ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათუმიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ. № 4,** სად. 11 ს. 15 წ. **სახ. № 6,** ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, სად. 8 ს. 28 წ. **სააგ. № 76 **,** ნაშუადღ 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 სად. 9 ს. 8 წ. **სახ. № 7|8,** დილ. 7 ს. 8 წ

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და სახ. № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ. და სახ. № 110|111,** ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლღის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიის, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური"

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.
კრასნოვოდსკში ყოველდღე სად. 8 საათ.
ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.
ლენქორანში ორშაბათობით სად. 6 საათ.
ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.
კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობპთ საღამოს 8 საათზე.
მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე სად. 8 საათზე.
კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.
ასტარიდან ხუთშაბათობით სად. 6 საათ.
ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.
ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**" ტელ. 82.

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

გადავიდა ახალ ბინაზე

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

ავადმყოფებს იღებენ:

ბლაჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.
ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვების სულით-ავადმყ. ელექტროტერაპია დილ. 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.
შამაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.
ავილოვისა ა. ა.—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონით და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროს კოპიულ, ბაქტერიოლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606"-ით და 914. 1513

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606" —11—12 ს. შეხაპუწება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანყარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში.



მუხრანის ქ. № 2.

ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.

ბაღოსნობა ძმ. ავსარქისოვებისა,

სადგ. სკრაში, (კავკ. რკ. გზა).

ვგზავნით **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა** და **მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 710

ვკისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას სახლ-მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და მუშავებას.
4. ყოველგვარ არზების და პირობის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და გამყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღეებისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.,** სახლი **მანთაშევისა,** სასტუმრო „უნივერსალი", № 1, ტელეფონი № 499 **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496

განცხადებანი

სილამაზე
უმაღლეს ხარისხამდე!

№ 4711
ვარდის ფერი ბროლის
= საპონი =

კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.

ფერდ. მიულგენსი.
პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რ ი გ ა.
დაარსებული 1792 წ.



ერთი ნაჭერი 2 კ.
ყველგან იშოვება

Метцл. 309286
309266

(10.1433.3)

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის
„მამცემელი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

[illegible]

ე. ა. ცატუროვის
დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალერი, ახალ სახიანი
რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

ფასები 8 კ.-დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.
ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისთანავე.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.
1400

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

საკრისტიანო მოძღვრებ., ფასი 30 კ.
სიტყვა თქმული ერთს კრებაზე, 10 კ.
საეკლესიო კანდაგებანი იოანე ბოლნელისა . . . . 1 მ.
მოძღვრებანი მღვდ. გამრეკელ. 40 კ.
წესი სამღვდელოისა და სად. მროთ ლიტურგიისა წმინდათა მორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა . . . 60 კ.
Слова и рѣчи, ეპისკ. გაბრიელი . . . . . . 2 მ.
Номоканонъ Іоанни Постника, Хаханова . . . . . 2 მ.
Правила VI, Вселенскаго собора Хах. . . . . . 1 მ.
Іерусалимски Канонарь VII в. Св. Кекелидзе. . . . . 2 მ.
Древне-Грузинскій Архіеритикоъ, Кекелидзе . . . . 1 მ.
Культурная роль Иверіи въ Исторіи Русси. სამი მანეთის ნაცვლად . . . . 1 მ. 50 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი
ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები
და კომერციული ანგარიში
ი. ფ. პალატნიკოვისა,
(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიათ მიეღოს თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერონ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყო.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელი იღებს საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და სავაჭრო-მიწერ მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შეისწავლენ საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, [illegible] ფრანგულს და ახალ რუსულს [illegible] 2) **ანგარიშების წარმოება;** [illegible] 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) სავაჭრო-მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე, 7) ლამაზად და სწრაფ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ნემეცურს, ფრანგულს და გერმანულს, 12) უცხო ენებზე სავაჭრო-მიწერ-მოწერას.

რუსულს და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.

[illegible] კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.
1447

პუშკინის ქუჩაზე, № 9,
იძლევა ქირით
ორი დიდი თვალი მაღაზია,
შეიძლება შუაზედაც გაიყოს **ორ დუქნად.**
მაღაზიის ზევით მეორე სართულში
ქირით იძლევა ახლად შეკეთებული **ხუთი ოთახი,**
კუხნით, წყლით და ყოველივე მოწყობილობით.
პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიათ იქვე,
ძმ. ძეგველოვების [illegible] მაღაზიაში.

1912 წ. იძლევა ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი „ნაკადულისა"** 12 **წიგნი „ნაკადულისა"** მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-
ლური [illegible] **ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. [illegible]

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, **ქუთაისში:** [illegible]

გამომცემელი **თავ. პავლე იოს. ძე თუმანიშვილი.**
წ.—1393—წ.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა".